

1950

ს ი ა ნ ბ ი



ქართული
კომუნისტური
პარტია

№ 7. თბილისი, 1950 წ. გამომცემლობა „კომუნისტი“, გამომცემის ფული XXVII. ფასი 2 მან.



მ თ ე ნ ე ი ს ნ ა ვ ვ ა კ ა

ნახ. ი. ქოქიაშვილისა

ზოგიერთმა მტს-მა დაგვიანებით ჩაატარა მანქანა-ტრაქტორების შეკეთება.

— კეუა მაინც გქონდეს, შე ოხერო, რომ დავალების შესრულება შეგეძლოს. ისე მოგახგნევენებდი, არც მუხლუხო მოგეშლებოდა, არც ძრავი!

ბოჭემის ერთ-ერთი სოფლის ეკლესიაში გაიძვერა პატარა ტაფუარის „მღვდელ-მსახურების“ დროს, ჯვარი შეტრიალდა დასავლეთისაკენ. რადიოკამპანია „ამერიკის ხმამ“ ეს ამბავი გაასაღა, როგორც „უფლის სიგნალი“ იმის შესახებ თითქოს კაცობრიობის ხსნა მხოლოდ ამერიკას შეუძლია. ნამდვილად ჯვარს ამერიკელების მიერ მოსყიდული ტაფუარი თვითონ ატრიალდებდა.



ტაფუალად როდი აცვია თვალთმაქც „წმინდანის“ ოლარ,

ჯვარსაც იმგვარად აბრუნებს, როგორც უბრძანებს დოლარი.

მ ი ზ ე ჯ ა

კოლმეურნეობაში ცოტა საქმე როდია გასაკეთებელი. დილიდან საღამომდე რომ ციბრუტივით იტრიალო, მაინც ვერ აუხვალ-ყოველ საქმეში ანგარიშს გთხოვენ და ყველაფერზე პასუხი უნდა აგო.

პეტა ხიზანიძეს ჭკვიან კაცად მიაჩნია თავი. ისე ხელს არაფერს მოჰკიდებს, წინდაწინ თუ თაღარიგი არ დაიჭირა. ხელის-შემშლელ ყოველ შემთხვევას აღრიცხავს ხოლმე, ხელმძღვანელებს მოახსენებს, რომ შემდეგ უმიზეზოდ არ „ჩავარდეს“, თავი გაიმართლოს.

შარშან, ინკუბატორის შექმნას რომ შეუდგა, მასალა რომ მოიტანა და დაყარა, სოფელში ხელოსნები ვერ აღმოაჩინა. ერთი დღე გავიდა, ორი, სამი, ათი და ჩამორჩენა რომ დოკუმენტით გაეფორმებინა, სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს განცხადება მიართვა, ხელოსნები არა მყავს და სხვა სოფლიდან თუ არ მომამაგრე, მე რა ვქნაო. პეტამ საქმე მოიმაგრა, ხელოსნები კი ჯერაც არ მიუმაგრებიათ.

ამას წინათ პეტას ხენა უნდა დაეწყო. თითქმის მოშუადღევდა და ტრაქტორისტთა ბრიგადა ჯერ არსად გამოჩნდა. ორივე ხელი მტს-ის დირექტორისკენ გაიშვირა და მიზეზების სროლა დაუწყო:

— ეს არის საქმე? გავაფრთხილე, დამპირდა, დრო არ ითმენს და მას კი რა ეჩქარება, ჩემს მინდორზე იმუშავენ, თუ სხვაგან, რა ენაღვლება, გეგმას მაინც შეასრულებს.

ხელში სახრე დაიჭირა და ჩამორჩენის მიზეზების დოკუმენტალურად გასაფორმებლად რაიონული ცენტრის გზას გაუდგა. მიდის პეტა, თან ბრაზის კორიანტელი მიაქვს.

ერთი ბუჩქის ძირას, ის საოხრო კურდღელი ისე წამოსკუპებულა, თითქოს პეტას იწვევდეს:

— ეგ შენ და ეს მე, მოდი, თუ ბიჭი ხარო!

პეტამ სახრე მოუქნია კურდღელს. კურდღელი ხუთიოდ ნაბიჯზე გაცუნცულდა. ორმოც მეტრამდე რომ გაიბრძინა, კურდღლის დასამარცხებლად გამზადებული პეტა რაიონული ცენტრის გზას ასცდა და საბჭოსაკენ მიმავალ ბილიკზე გადავიდა.

„მოდი საბჭოს თავმჯდომარესთან გადავალ, ჯერ იმას მოვახსენებ ემტეისის დირექტორის ვაუკაცობას, ინსტანცია არ უნდა გამოვტოვო, დე ყველამ იცოდეს, რომ პეტა არაფერ შუაშია“ — გაიფიქრა მან და სასოფლო საბჭოსკენ გადაუხვია.

მაგრამ სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ადგილზე არ დახვდა. „მინდორშია წასულიო“, უთხრეს და მინდვრის მისამართიც გარკვეულად ვერ დაუსახელეს.

ისევე რაიონისკენ გასწია. გზად რაიკომის მდივანი შემოხვდა. ახალშეხვედრილმა მანქანაში ჩაისვა და კურდღელზე მოიერიშე პეტაზე იერიში მიიტანა:

— შენ, კაცო, ხენას ხელმძღვანელობ, თუ რაიონში სეირნობ?

— ეს ემტეისის დირექტორს უნდა ჰკითხოთ... არ მობრძანდა, ობიექტიურ მიზეზებს დაასახელებს.

— ყოვლად შეუძლებელია, — მოუჭრა რაიკომის მდივანმა, — მისი პირობის თანახმად, მეტრაქტორეთა ერთი ბრიგადა თქვენს მინდორზე უნდა მუშაობდეს. შეიძლება შეგაგვიანდათ, თორემ პირობას არ გატეხენ, ყოვლად შეუძლებელია...

და მართლაც მანქანიდან გამოჩნდა მინდორზე გაფანტული ტრაქტორები.

— საჩივრელად რაიონში სირბილს, გერჩია შენი გუთნეულები გამოგეყვანა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურის იმედი კარგია, მაგრამ საქმის ყოველთვის სხვისი ხელით გაკეთება, ვერაფერი ვაუკაცობაა.

პეტას ხმა არ ამოუღია. და ეს სიჩუმე მალე თავმჯდომარეობად ჩამოერთვა, რადგან პეტას დაუკითხავად ბრიგადირებს სამი გუთნეული გამოეყვანათ, სახრეებს იქნევდნენ და „ჰამამო-ხოს“ ძახილში იყვნენ.

პეტა არ ცხრებოდა, მიზეზი მიზეზზე მოჰყავდა და იმაზე კი აღარ ფიქრობდა, რომ კოლმეურნეობასაც ჰქონდათ მიზეზი: ამ გახურებული ხვნის დროს ჯერ სად ეცალათ, რომ საერთო კრება მოეწვიათ და პეტა თავმჯდომარეობიდან გაეთავისუფლებინათ.

ოპერის მომღერალი, რუდი ლარი, დააპატიმრეს და პოლიციის მიიყვანეს. როდესაც საეარქელში ჩამჯდარმა პოლიციის უფროსმა „ჰიმნი“ ახსენა, რუდი მხოლოდ მაშინ მიხვდა ყველაფერს... სხვა იტალიელებთან ერთად, რუდიმ ბუდაპეშტში მოწყობილ მსოფლიო დემოკრატიულ ახალგაზრდობის ფესტივალში მიიღო მონაწილეობა... მის ძლიერ მოწონა იქ შესრულებული „დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი“. რუდიმ თავის სამშობლო ქალაქში ჩამოიტანა სიმღერა, რამდენჯერმე შესრულა მეგობართა ვიწრო წრეში. კარგი სიმღერა განაფხულის დამატარებელ. ნიავეითაა; რამდენიმე დღის შემდეგ მთელი ქალაქი მღეროდა ამ ჰიმნს. პოლიციამ მალე გაიგო ამ სიმღერის „მოგზაურობის“ ამბავი და... ახლა რუდი ლარი გაცოფებული პრეფექტის წინ იდგა.

— ხომ არ გგონიათ, რომ გაწამოთ? — წარმოსთქვა პრეფექტმა და წამოდგა. მისი უზარმაზარი ღიპის დანახვისას, რუდის ღიმილი შეეპარა ტუჩებში.

— მე მინდა ვისწავლო ის სიმღერა... რა ჰქვია?.. დემოკრატიული ჰიმნი... მიმღერეთ, გთხოვთ.

რუდიმ დაიწყო სიმღერა. მაგრამ იმ წუთშივე პრეფექტის მუშტი მოხვდა და თვალთ დაუბნელდა.

— მჭ მუსიკალური სმენა მაქვს! — დაიხრიალა პრეფექტმა. — თქვენ კი ყალბად მღერით, მე დაგსჯით მაგისთვის, თქვენ ველადასოდეს ველარ იმღერებთ. — მერე მოკლედ მოსჭრა. — ჩაიყვანეთ კამერაში!

რუდიმ იცოდა, რასაც ნიშნავდა ეს ქვევით წამების ოთახი იყო...

ცოტა ხნის შემდეგ კამერაში პრეფექტი შემოგორდა, მას უკან მოსდევდა თეთრ ხალათი და ცემული ქერაულვაშებიანი ექიმი.

— ჩვენს მაესტროს, — მიმართა პრეფექტმა ექიმს, — ხმის იოგები გაუფუჭდა და ყალბად მღერის... პატარა ოპერაცია სჭირდება, აი, აქ... — და პრეფექტმა საკუთარ ყელთან აათამაშა თითები.

რუდი ყველაფერს მოელოდა, მაგრამ ამას ვერასოდეს წარმოიდგენდა, როგორ, მას ხმა უნდა წაართვან? მისი ბარიტონი? სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს საყვარელ

ესკამილიოს? ჟერმონს?... არა, ეს არ მოხდება. რუდიმ ექიმს გადახედა. მას თავის ქერა უღვაშებზე უფრო გაყვითლებოდა სახე. პრეფექტმა თვალთ ანიშნა პოლისმენებს. რუდის რაღაც მიძიმე მოხედა თავში, ქვის საწოლზე დაფარდა და გონება დაჰკარგა...

რუდი ლარი მეორე დღესვე გამოუშვეს პოლიციიდან. ყელში რაღაც სიმწვავეს გრძობდა. მიაბიჯებდა, ქუჩაში და ხმის ამოღებისაც ეშინოდა; ეგონა სალაპარაკო ხმაც ალარ ჰქონდა შერჩენილი... ინსტიქტურად ხმამალა წაილიღინა... თითქოს ხეს დაეჯახაო, უცბად შესდგა; რუდიმ იგრძნო, რომ მისი ხმა ისევ „ცოცხალი“ იყო. „ნუთუ შეცდა ექიმი? ნუთუ ბოლომდე ვერ მიიყვანა ოპერაცია? თუ დამაშინეს მხოლოდ?“ ფიქრობდა სინარულისგან ფრთებშესხმული რუდი.

იმ საღამოს ოპერაში „ტოსკა“ სრულდებოდა. პროგრამის მიხედვით, სკარპიას როლი რუდი ლარის უნდა შესრულებინა. თეატრში არაფერი იცოდნენ მისი დაპატიმრების შესახებ...

რუდი უკვე საგრძობად იჯდა და აჩქარებით ემზადებოდა.

მის სხეს სახეიმო გამომეტყველება დაუფლებოდა. მას ხომ დღეს თავისი საყვარელი როლი უნდა შესრულებინა, რომის პოლიციის უფროსის — სკარპიას როლი. მაგრამ ამ საღამოს სულ სხვანაირად ფიქრობდა შესრულებას. მან ხომ საკუთარი თვალთ ნახა თავისი „გმირი“, მშვენიერი „სკოლა“ გაიარა პოლიციის სარდაფში...

— აი, ასე... — ბუტბუტებდა სარკის წინ ჩამომჯდარი რუდი, — მერე ბუტბუტისკენ გაიხედა და წაიჩურჩულა: „მის ღიპსაც ახლავე გავიკეთებ“...

ოპერა დაიწყო. რუდი კულისებში მიმალულიყო და კავარადოსის პირველ არიას უსმენდა. ... როდესაც სცენაზე ღიპიანი ჯერ არნახული სკარპია გამოვიდა ლორწებით ხელში, მაყურებლებში სიცილი გაისმა, ბოლოს იატაკზე ფეხების ბრახუნმა მთელი დარბაზი გააყრუა.

— ეს ხომ ჩვენს პრეფექტს ჰგავს!? — სხვას არავის არა აქვს ასეთი ღიპი! — მგონი თვითონაა... გაჰყვიროდნენ აქეთ-იქიდან. მაგრამ რო-

დესაც საერთო ხმაური მომღერლის მძლავრმა ხმამ დაჰფარა, მასში ყველამ იცნო საყვარელი ბარიტონი — რუდი ლარი და დარბაზში ტაში ტალღასავით აგორდა.

— ბრავო ლარი... ვივო ლარი! — მწყობრად მოისმოდა მაყურებელთა მისალმება. ორი მოქმედების განმავლობაში რუდი არაჩვეულებრივი ოსტატობით ბაძავდა მაყურებელთათვის ნაცნობ, საზიზარ პრეფექტის მხოლოდ იმ აზრით იყო გამსჭვალული, რომ სამაგიერო გადაეხადა ხალხის მტრისათვის...

კულმინაცია მაშინ დადგა, როდესაც ტოსკას მახვილით განგმირული სკარპია იატაკზე დაეცა და ძალზე უხერხულად გაიშხლართა. დარბაზი კვლავ ახმაურდა.

— კიდევ დაარტყი სინიორა! — ძირს პოლიციის უფროსი!!

ეს უკანასკნელი წამოძახილი საკმაოდ ორაზროვანი იყო და ამიტომ თავისუფლად გაჰყვიროდნენ. იატაკზე დაცემისას რუდიმ თვალი მოჰკრა ქანდარზე მდგარ პოლიციელის ფიგურას. „ამალამვე უნდა დავტოვო ქალაქი“, გადასწყვიტა მან...

ლამის 11 საათზე ლომბარდისკენ მიმავალი ექსპრესი დაიძრა... იმ კუბეში, სადაც რუდი ლარი იჯდა, ქერაულვაშებიანი მამაკაცი შემოვიდა. რუდი ფეხზე წამოიჭრა, მან იცნო პოლიციის ექიმი.

— ო, მაესტრო! — წარმოსთქვა ექიმმა. — დღეს შესანიშნავად იმღერეთ, მომილოცავს... სასიამოვნოა, რომ ორივენი მივემგზავრებით.

— გსურთ კიდევ დამაპატიმროთ? — აღელვებით წარმოსთქვა რუდიმ. ექიმს გაელიმა.

— ჩვენ ორივენი უნდა დავგაპატიმრონ... მე ხომ... ყალბი ოპერაცია გავიკეთეთ, პატიმარში მაშინვე ვიცანი ჩემი საყვარელი ბარიტონი... მე მხოლოდ ყელი გავიფხაჭხენთ; სისხლის დანახვა საკმარისი იყო პრეფექტისათვის... თქვენი დღევანდელი სკარპიითი კი მეც გამომამუღავნეთ, არა უშავს, სამაგიეროდ გზაში მიმღერებთ რამეს. — წარმოსთქვა ექიმმა და სიყვარულით სავსე თვალები რუდის მიანათა.

— მეგობარო! — აღტაცებით აღმოხდა რუდის და ბავშვობის შემდეგ პირველად აუცრემლდა თვალები.

ელდორა ჟივინი

სასეზონო გადაფრენა

ნახ. გ. ფირცხალავასი

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან ფეხბურთელთა გუნდები საწვრთნელი ვარჯიშობისათვის შავი ზღვის სანაპიროებისაკენ გაემგზავრენ.

(გაზეთებიდან)



აქ გაზაფხულის მობრძანებაში, მოდი და კაცი ნუ დარწმუნდები,

როცა გაფრენილ წეროთა გუნდებს ფეხბურთელების სცვლიან გუნდები.



დებრტაცია



დებრტაცია და...

შახსადნი

ერთ პალაში, ერთი ყვავი, მტკიცებდა, ვაღლი შვი, ცხოვრობდა და ურანდაღი და საცილებელი ატარებდა სხვა ფრანგული მარომა-შურში. ავი ზარან ედვა ვულში, მაგრამ როცა სხვათა ჩანდა, იუცი სიტყვა მოიტანდა— არ ზოგადა თვალთმაქცობას და ზემოდა სხვის ავაციობას.

რომ დღუღუნებს თავის ხმითა ფრანგულად, თითქმის მტკიცებდა, სხვა ხმით ზეპირს ტახში ავირ. სხვა აქვს ზეპირად კრანძვულად? სულ არ ზეპირს, დღუღი, რეკული, მარცხელს ჰეკიეს, ზოხბის კრახს, რა კოლი და რა აზრი აქვს? არ სჯობია— ჩემი ვეგმით საჭე ისე ვამოფრანო, რომ ეგულა მარის ფრანგულმა ერთიანი ხმა მივხმობო? ვეღლს მოვალბუნს სიხარული, ვით შიხს შუქი აღზემს ყვავილს, თუ ყველაში დღეიდანვე ყვავის ხმაზე იწყებთ ჩხავილს, ეს იქნება სწორედ შილა უზბოი და უნახავია.

ან, ზოლიში, ამ ივავით არ დარჩებით ალბათ ხახტად, როცა ვეგმით, რომ ის ყვავი არაფრად ვიხს ვახტად.

ერთივე დროსვე შერტობაზე, აშტავებულა ვვაი ახე: არ წამოყვებლს პასის ხული, მწვილობაზე ვზრუნავ ვუღიოსი თვითონ პრძანეო, ფრანგულდობო, ჩემო ლეაქლო მშებო, დებო, ვინ ჩავივთლის დახარჩავა, რომ შვეგროვდეთ ერთ ოჯახად, ერთი ეს ვამოხმობო და ერთ პანზე ვამოხმობო? რა აზრი აქვს, მავალითა.

ნან. გ. ლომიძისა

ყვენი ერთი მეს-ში



— შარშანდღეივით დაუდგვრად იქცევიან ამ მტხ-ში: ჩაიონში აცნობებს თეხას მოგრანოთ, აქ კი ხვანც არ დაუწყობა! — ეგ არც ისე ცუდი ნიშანია: ალბათ შარშანდღეივით ერთხაზად „შეუბნევენ“ და ისე ზერეღედ დაფარცხვენ, რომ ხნულში ჩაბნეული თხსლის ნახევარი ჩვენ დაგვარჩეს.

ქვეყნის ქართულ მუხრანადებობა

ერთი შილილო ცხვირის პატრონი მგზავიო რკინიგზის ვაგონის ფანჯრიდან იუფრებოდა. ფანჯრის შინა გაუტყდა. ცხვირს ვეფხვანდა და სისხლმა დენა დაუწყაო. კონდუქტორმა შინის ფულად სხმა მიწეთი მოსიხო-ვა. ცხვირის პატრონი უხახახა: — ამ ფულს კი ვადავიხიო, მაგრამ ცხვირს ვინა მიზღვსო. კონდუქტორსაც ხუმრობავ ხუმრობით უპასუხა: — შე დალოცვილო, მაგოდენა ცხვირი ვაგონში რად შეგქონდა, ტვირთად უნდა ვაგვგზავნაო. — სენიო? — გაიოცეს. — რა სენი? — წყალმანკიო. — უპასუხა შინა. ერთს ლენის კარგად მცნობა ჩავიდა სი-რაჯანაში, ლენიობის ჰუმორიკ ვასრნავა და წამოიძახა: — დიაღ, აწინდელი ლენიობის დაყენების საქმეს დიდად საშიში სენი სქირს, თუმცა უქურნებელი არ არის ეს სენიო. — სენიო? — გაიოცეს. — რა სენი? — წყალმანკიო. — უპასუხა შინა. ერთს პროფესორს მკერავმა ძალიან ეიწ-რო შარვალი შეუტერა. პროფესორმა დაუ-წყნა. — ბატონო, ახლა ასეთი ეიწრო შარვალი მოდაა. თქვენც არ უნდა ჩამორჩეთ უკან დღოთ ეამსხო, — უთხრა მკერავმა. — ძალიან კარგი, მაგრამ ასეთი ეიწრო შარვალით დრო-ვანს როგორ გამოვუდგეო. — ომიდან ახლად დაბრუნებულს ამერიკელს მგომობრმა ჰკითხა:

— ერთი კაცი შინს თუ მოვლიო ოშიშო? — ერთის შესახებ კი ნამდვილად გეტყვი, რომ მოვალეო. — უპასუხა შინა: — ბრძოლის დროს ვაგვარდა თუ არა პირველი თოფი, ვა-ვეტცი-ო უკან მტრის ჯარსკაცო ვამომიღვა და ათი აგრისო სულ სირბილით მომდევნა, ისე მოქმენდა საცოდავი, რომ დაეცა და ექ-ვე სული განსუტეო. — ერთს ჩვენებურ ახლავარდის დიდი ვა-ლები დააწვა. იძულებული შეჩნა შიითიანი ქალი შეერთო ცოლად და ვაღუბი ცოლის შიითეთით მოკურნებინა. ერთი ნაცნობი შეზედა და მიულოცა: — მითილოცავს, კოლი შეგირთავსო. — ის ჩემი ცოლი მე კი არა, ჩემმა მევა-ლეებმა შეერთეს და იმით მიულოცეო, — უპა-სუხა ვაღუბიდან თავდახსნილმა გმირმა. — ეს რა რენტგენისებური შემწვარი მო-კიტინიო? — როგორ რენტგენისებური, ბატონო? — ისე, რომ ძვლი ხიანს და ზორს კი არასად ვეღდავ. — ასესხე მე შენს ნაცნობს ფული? — რას ვასესხებდი ასე ფუთხარი: აწადი, ჩემზედ სულელი მონახე ვინმე, ის ვასესხეს მეთოქო? — ხა, ხა, ხა, ეგ რა კარგად ვითქვამს! მწილად თუ შავისთანა კაცი იპოვის საღებო...

ყველაზე სასატიღო

მე-120-ე ქუჩაზე მივდიოდი. როგორც ყოველთვის, ახლაც იმ ბუკინისტურ მალაზიასთან შევანელებე ნაბიჯი, რომელშიც ჩემი მეგობარი პიტ ფიტცმორისი ვაჭრობს.

— ჰელლო, პიტ, ახალი არაფერი გაქვს, რომ კაცმა გაიციონოს?— შევეკითხე მას. რამდენიმე მყიდველმა ზიზღით ამხედ-ღამხედ-ღა, — გეცოდინებათ, არიან ტიპები, რომლებიც თავს ისე გაჩვენებენ, ვითომ მხოლოდ სერიოზული წიგნებით იყვნენ გატაცებულნი და იუმორი სძაგდელთ.

პიტმა როგორღაც უგუნებოდ შემომხედა და ხელი დახლის ბოლოში მდებარე თხელი წიგნისაკენ გაიწოდა. მაგრამ წიგნის ხელის შეხება ვერ მოასწრო, რომ უცებ მუცელზე ხელი მიიჭირა და თითქოს ტყვია მოხვედროდეს, უცნაური ხმაურით დაეცა იატაკზე.



— მე ამდენს ვერ აუველი, ძია, ინკუბატორი რომ არ ამიშენე და ტყუილად ზიხარ, აჰა, ეს კვერცხები მაინც გამოჩეკე...

მაშინვე მივევარდი. იგი ცოცხალი და, წარმოიდგინეთ, გამხიარულებულიც კი იყო—სიცილით იხრჩობოდა. ფლეგმაიანი და სკეპტიკოსი, იუმორსმოკლებული ადამიანის განსახიერება ფიტცმორისი ჩაპლინის სურათზე პირველად მოხვედრილ მოწაფესავით ხითხითებდა.

— რაშია საქმე?—იკითხა ერთმა მყიდველთაგანმა და ხელში აიღო ის წიგნი, რომელსაც პიტმა მე მთავაზობდა. მაგრამ მყიდველმა წიგნის პირველი გვერდის გადაშლა და რამდენიმე სტრიქონის წაკითხვა ვერ მოასწრო, რომ თვალები ქუთუთოებიდან გადმოუცვივდა, ციებზიანით ცახცახი აუვარდა, ბროშურა ხელიდან გაუვარდა და პიტის გვერდით მოადინა ბრაგვანი.

თავგამეტებული მყიდველის ხელიდან გავარდნილ წიგნს პენს-ნეიანმა ჩამომხმარმა შინაბერამ დაავლო ხელი. მან მკაცრად მოაგლო თვალი მალაზიას, სიცილით გადაბრუნებულ ორ კაცს, გაისწორა პენსნე და გაბედულად ჩააცქერდა ტექსტს. წუთსაც არ გაუგლოია, რომ პენსნე ცხვირს მოსწყდა, ხოლო პენსნეს პატრონს წკავ-წკავისებური სიცილი აუვარდა.

მაშინ ყველანი მიცვივდნენ წიგნს. წიგნს ანტიური გმირივით ეჭირა თავი: მან რამდენიმე წუთში მიყარ-მოყარა ყველანი მალაზიის კუთხეებში. პატარა ოთახი, რომელშიც პიტ ფიტცმორისის წიგნის სავაჭრო იყო მოთავსებული, სიცილით გაზაფხულის კვირტივით გაიბერა. მარტო მე ვიდექი ფეხზე, რადგან ჯერ კიდევ არ ჩამეხედა ამ გენიალურ წიგნში. პიტმა თანდათან გონს მოდიოდა, მაგრამ დანარჩენები ჯერ კიდევ უგონოდ ყოფნას განაგრძობდნენ.



— „შენ... ხა-ხა-ხა-ხა!—მითხრა პიტმა.—გიჯობს არ წაიკითხო... ხა-ხა-ხა-ხა!.. მე შენ გაფრთხილებ, როგორც მეგობარს! ხა-ხა-ხა-ხა-ხა!.. მე სულ... რამდენიმე სტრიქონი წაიკითხე... ერთი კვირის წინათ და დღემდე მახს... ხა-ხა-ხა-ხა!.. „ემკითხაობდი: ვის უნდა დაეწერა იუმორის ეს შედეგები? ვინ არის ეს ახალი ტენი, ახალი ნესბი? „გადავწყვიტე ბროშურის შემოქმედება ჩემს თავზე გამომეცადა. გავიხსენე დალუპული დედაჩემი, მოკლული მეგობარი, სატრფოს დალატი, ხელფასის დაკლება და ფასების გადიდება, გავიხსენე რომ საზამთრო პალტო არ მქონდა, რომ მალე ლოიალობის შემმოწმებელი კომისია უნდა გამეგლო,—და მე ისეთ სამგლოვიარო გუნებაზე დავდექი, რომ შზად ვიყავი ტრაგიკულად შევხვედროდი მსოფლიოს ყველა იუმორისტებს ერთად.

— მე შენ... ხა-ხა-ხა... გაგაფრთხილე,—შენ... ხა-ხა-ხა... სრულ-წლოვანი ხარ და ამიტომ შეგიძლია... ხა-ხა... ჩემს მალაზიაში... ხა-ხა-ხა... რაც გასურს, ის... ხა-ხა... აკეთო... მაგრამ კიდევ ერთ-ხელ... ხა-ხა...

იატაკზე დაგდებულ ბროშურისკენ წავდგი ფეხი. ხელში ავიღე. იქ მყოფთა დაუცხრომელ ხარხარში წაიკითხე ავტორის გვარი, წიგნის სახელწოდება.

„ჩემი შთაბეჭდილება ამერიკაში მოგზაურობიდან“, ვილაც ირლანდიელის მიერ იყო დაწერილი და დუბლინში გამოცემული. წიგნის პირველი გვერდი თამამად გადავშალე.

„ყველაზე მეტად,—სწერდა ავტორი,—ამერიკაში მე გამაოცა იმ გარემოებამ, რომ ამერიკის ყველა მოქალაქე თავის ქვეყანაში სარგებლობს სიტყვის, ბეჭდვის, კრების აბსოლუტური თავისუფლებით, მათ არ ემუქრებათ უმუშევრობა და გაჭირვება, კარგად იცვამენ, მაძღრისად იკვებებიან...“

შემდეგ რა იყო არ მახსოვს. მე ხარხართ დავემხე რომელიღაც მყიდველს.



სიცილში, როგორც სიხმარში, მალაზიაში შემოსული პოლის-მენის შეკითხვა ჩამესმა:

— ეს რა კრებაა? მე თქვენ ახლავე...—და პიტის მოხითხითე ხმამ უპასუხა:

— თქვენ უფლება არ გაქვთ ავგიკრძალოთ... ხი-ხი... სიცილი... პოლისმენო! ჩვენ ვანხორციელებთ სიცილის თავისუფლებას! აკრძალულთა შორის თქვენს ინსტრუქციაში სიცილიც სწერია? არა? მაშ დაგვეკარგეთ... ხი-ხი...



ჩანგლის წვერზე



ფირადღე გავარდნილი ცისტერნა

ექვსი ჯამი (ზუგდიდი)

გასული წლის 3 სექტემბერს ა. კ. რკინიგზის მთავარმა სამასალო საწყობმა ლენინკანდიან თბილისში გამოგზავნა ცისტერნა № 205918 საღებავი ლაქით მოძრაობის სამსახურის (უფროსი დ. ბერიძე) მუშაკთა „სახანტლოდ“ უნდა ითქვას, რომ 10 საათის გზას თბილისში მოსვლამდე - ცისტერნა 5 დღეს მოუწდა.

თბილისის სატვირთო სადგურში 8 დღე იმის მკითხაობაში გაატარეს, თუ ვინ იყო ცისტერნის პატრონი. შემდეგ აიღეს, იგი ბათუმის შემადგენლობას მოუბრუნეს და თავიდან მოიცილეს. მალე ტვირთის პატრონი მიაკითხა. დაიწვეს ქალაქადგომის ქვეყა, მაგრამ კვალს ვეღარ წააწყდნენ.

— გულს ნუ გაიტეხთ, პატრიცია მულო! — ანუ უფრო ტვირთის პატრონი დ. ბერიძემ, — ცისტერნა ნემსი ხომ არ არის, რომ დაიკარგოს? მოეძებნით და როდისმე ვიპოვით.

მართლაც გამართლდა ბერიძის „წინასწარმეტყველება“: ოთხი თვის დაძაბული ძებნის შემდეგ ცისტერნა ნამდვილად იპოვეს... ზათუმის სადგურში, მაგრამ ჩაპიკდეს ხელი და კვლავ თბილისის სატვირთოში მოაბრძანეს...

მაგრამ მათ ვერ გაიგეს, რომ ცისტერნას ამ მოგზაურობაში უკვე კეკემალოლოზობა ჰქონდა შესწავლილი და თბილისის სატვირთო მუშაკებს იგი ხელიდან მორაგვერ გაუსხლტა.

ექვსი, ექვსი და ახლა ნავთლულში წაასწრეს. დაიჭირეს, იქმი შეუდგინეს და ტექნიკური კანტორის მუშაკს კვაჭაძეს დაავალეს მისი თბილისში დაბრუნება.

კვაჭაძემ კი ჰკრა მუჯლუგონი და ეს ფირალოდ გავარდნილი ცისტერნა აქსტაფისაკენ გაუძახა. ბევრი ხდიეს, ბევრი ექვსებს, მაგრამ ცამ ჩაყლაბა თუ მიწამ— ვეღარ გაიგეს.

მაგრამ დ. ბერიძის წინასწარმეტყველება ძალას არ ჰკარგავდა: 5 თვის ხეტიალის შემდეგ, ცისტერნას გროზნოში წაასწრეს (ეს იყო 30 იანვარს) და იქიდან ერთი თვის შემდეგ (28 თებერვალს) კვლავ თბილისის სატვირთოში მოიყვანეს.

აქ თითქოს შეურაცხყოფილმა ცისტერნამ თავისი გულმსუქრობა იმით გამოხატა, რომ ხორბლით დატვირთულ ვაგონს დაეჯახა; იგი ნაფოტებდა აქცია, მაგრამ არც თვითონ აღმოჩნდა ჯანმრთელი. გახსნეს, და ნახეს, რომ ლაქი, რომლითაც ის გავსებული იყო — ტალახად ქცეულიყო.

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტალახად ქცეული ლაქიც ისეთ ლაქას მოსცემს სატვირთოს მუშაკებს, რომლის ჩამორცხვა ადვილი არ უნდა იყოს.

ვ. სადიკაძე

სსტაქუს მამალი

(ცხაკაის რაიონის სოფელ ნოსირის კოლმეურნეობა. მზიანი დღეა. კოლმეურნე ვსტატე ვარდოსანიძის ეზო. სახლიდან მოქვიფეთა სიმღერის შემდეგ მოისმის საუბარი:)

პირველი: ამხანაგებო, მეორე დღეა ვკეიფობთ, გვეყოფა... ხალხი უკვე მინდვრად გავიდა სამუშაოდ.

მეორე: ვიცი, ვიცი — გაზაფხულია... შენ ეს სასმისიც დამილიე და მეორე გიტყვი რაღაცას...

პირველი: ვისი სადღეგრძელო იყო? მესამე: ვისი და, იმ ჩვენი მშობლები, რომლებიც, რომ...

ესტატე: (მღერის) გაიღვიძე მამალო... გაიღვიძე მამალო... გაიღვიძე მამალო...

პირველი: მოიცა კაცო, არ მაცლი? **ესტატე:** გადაკარი, თავი ნუ მოგიკვდება... აბა, ჩქარა... (მღერის) გაიღვიძე მამალოლო...

მეორე: რას ჩააცივდი კაცო, ამ მამალს?

ესტატე: (მღერის) გაიღვიძე მამალოლო... **მეორე:** (გაბრაზებით) გგაცალე ბატონო! მასპინძელი კი ხარ, მარა...

ესტატე: რაგა, უფლება არა მამე მოვიღებინო? (უფრო მაღალი ხმით მღერის) გაიღვიძე მამალოლო...

მეორე: ისე გაიღვიძა შენმა მტერმა, როგორც შენმა მამალმა ამას იქით გაიღვიძოს!

ესტატე: (ცოტა გამოფხინდა) ა? რატომ კაცო?!

მესამე: (იციინს) ჰა, ჰა, ჰა! მისი ბარკალი მაინც არ გედოს წინ, — წუხელ არ გავაგდებინეთ თავი იმ შენს „მამალოს“?

ესტატე: როდის კაცო! **მესამე:** წუხელ ბატონო, წუხელ...

ყველანი: (იციინან) ჰა, ჰა, ჰა... **ესტატე:** ეშმაკსაც წაუღიხარო... იმსხვერპლეთ ჩემი მამალი, ხომ?!

მეორე: არა უშავს ჩემო ვსტატე... აბა შენ (პირველს) დამილიე ჩქარა, თორემ უკვე დღის სამი საათი გახდა... თავმჯდომარე ჩამოივლის...

პირველი: ეს გაუმარჯოს იმას, ვინც რომ...

(ეზოში გაისმა მამლის ყვირილი) **ესტატე:** (წამოხტა) რაო? ვის ატყუებთ თქვენ? (გარედ გავარდა. ისევ შემორბინა) ჩემი ყვინჩილა ეზოში არხინად დასერილობს. თქვენ ამბობთ — თავი წავაგდებინეთო? ტყუილია...

(ყველანი, იციინან. შემოდის სტუმარი). **სტუმარი:** რას შვრებით, ამხანაგებო, რა სიმღერაა...

ესტატე: გაზაფხულს ვხვდებით, გაზაფხულს...

(ყველანი იციინან, ახალი სტუმრის გარდა).

(შ ა რ დ ა)

ჩასწერა ბ. კარაზანაძემ

სასადილოს შენობის სხვენზე დგას ექვსი ჯამი, შიგ შხაპუნით ცვივა სახურავიდან ჩამონარეცხი თოვლის წყლის წვეთები.

ეს არის სასადილოს გამგის ოთხი. მაგრამ ამო ოთხია. პატარა ჯამები ვერ იტევენ დამბალ სახურავიდან უხვად მოწაწკარუ წვიმის წვეთებს. წყალი გადმოდის ჯამებიდან, იღვრება, ესე იგი წვიმს სასადილოში, წვიმს და ლბება სასადილოს შენობა, სველდება, ზიანდება გასაყიდი პროდუქტები და საქონელი.

ეს ხდება ზუგდიდის „საქვაპრობის“ სასადილოში, სადაც გამგედ ილიკო სიკინავა მუშაობს.

სახურავი მთლად ცხრილს დაეშვა, კედლები დასკდა, სხვასაც რომ თავი დაეანებოთ, შეიძლება უბედური შემთხვევაც მოხდეს.

სიკინავა ხშირად პირდება მალახიში თავსმის გამო შეწუხებულ კლიენტებს:

— აგერ, მალე შეგაკეთებთ, ან სულ ახალ ბინაში გადავალთო.

მაგრამ გადის თვეები, წლებიც კი გავიდა, ხოლო სიკინავას დაპირება არც სრულდება და არც გვაგიწყდება.

მაგრამ თვით საქვაპრობის ზუგდიდის განყოფილების მუშაკებს რატომ არ ახსენდებათ ის?


ბ. ოდიშელი

პრივივატი იყალთოელი

ვრივივატი იყალთოელი, შესაბრალონი ვართ, ეგ არი: ლამის თავს კლუბი დაგვეგრეს შესამკობ-შესაქებარი. მისწვდე — მუჭაში დაიტევ დარბაზს, იმხელა ტანი აქვს, თუმცა რას აქნევ? აქ ოთხ თვეს კინო არ მოუტანიათ. შარშანწინ კლუბის აგება იფიქრეს სოფლის მესვეურთ: მოზიდეს კირი, ქვა-ქვიშა, სოფლის რიყეში შესეულთ, დათხარეს საძირკველები,

„დაგვემ-დაბლანეს“ ყოველი და ორი წელი სრულდება, რაც ჩვენ ახალ კლუბს მოველით. ლამის დამიწდეს ქვა-ქვიშა, თავზე ქარ-წვიმის გელებით, ინგრევა, ლამის აშამბდეს ჩაყრილი საძირკველები. რას უყურებენ, არ ვიციო, იყალთოს მესვეურები, განა კლუბობას გავვიწევს, ქვა-ქვიშა ათი ურემი?

ლალ მრეველიშვილი



ნან. დონისა

— შენ ვისი შვილი ხარ?
— არავისი, მე დედ-მამა არა მყავს, ინკუბატორში დავინაბდე!

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკიი ჟურნალ „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1950 წ. 8/IV. ტექსტი აწუობილია ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შეკ. № 450. ლენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე, შეკ. № 967. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42. გამოც. № 38. ტირ. 11000. უფ. 02516.



— ვფიქრობ, კოლეგა, რომ ჩვეულებრივი მკურნალობა აღარ, კმარა, ავადმყოფი კრიზისშია და სისხლის გადასხმას თხოვლობს.